საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №

MES 9 22 00001-07/6

28/01/2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სტატისტიკისა და ანალიტიკის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე [redacted] დანიშვნის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 19 ნოემბრის N01-11/809 ბრძანების თანახმად, გამოცხადდა ღია კონკურსი სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სტატისტიკისა და ანალიტიკის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის თამარ სირიას 2021 წლის 29 დეკემბრის N1434414 მოხსენებითი ბარათით, კონკურსის შედეგების შესაბამისად, ადმინისტრაციული დეპარტამენტის სტატისტიკისა და ანალიტიკის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დასა ნიშნად წარდგენილი იქნა [redacted] კანდიდატურა.

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 43-ე მუხლის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილების, საკონკურსო კომისიის 2021 წლის 24 დეკემბრის N4 სხდომის ოქმის, [redacted] 2022 წლის 25 იანვრის N62107 განცხადებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" და „ლ" ქვეპუნქტების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. [redacted] 2022 წლის 01 თებერვლიდან, 12 თვიანი გამოსაცდელი ვადით, დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სტატისტიკისა და ანალიტიკის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

2. [redacted] თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს სამინისტროს საშტატო ნუსხის შესაბამისად.

3. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა დაევალოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N9), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მაია ხაჯიშვილი
მინისტრი